

## გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა გადარჩენის პრაქტიკულ ღონისძიებათა წესები

### სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	2
მიზანი: .....	3
შესავალი .....	3
1 კონსერვაციული ტრანსლოკაციის განსაზღვრება და ტიპები .....	5
1.1 კონსერვაციული ტრანსლოკაციის დროს აუცილებელია შემდეგი ქმედებები:.....	5
1.2 კონსერვაციული ტრანსლოკაციის ხელშემშლელი ფაქტორები .....	6
1.3 საკონსერვაციო კატეგორიები .....	7
2 კონსერვაციული ტრანსლოკაციის (კტ) ეტაპები.....	8
2.1 პრეკონსერვაცია.....	8
2.1.1 თანდათანობითი გაშვება მისაღება მაშინ, როდესაც: .....	8
2.1.2 სწრაფი გაშვება დასაშვებია: .....	8
2.2 რეინტროდუქცია/რეინფორსმენტი .....	8
2.3 მონიტორინგი .....	10
3 . კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმისთვის საჭირო საკითხები.....	10
3.1 საერთო ქმედებები სახეობების აღდგენისთვის.....	13

## ტერმინთა განმარტება

ტერმინები	განმარტება
ელის ეფექტი	პოპულაციის სიმჭიდროვის დაცემასთან ერთად ეცემა ცალკეული ინდივიდების ინდივიდუალური შეგუებულობა
გაშვება	ინდივიდების ველურ პირობებში გაშვება
რეინფორსმენტი	არსებულ პოპულაციაში ინდივიდების შეყვანა/შეტანა პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობის გაზრდის მიზნით.
კონსერვაციული ტრანსლოკაცია (კტ)	ადამიანის მიერ ერთი სახეობის ინდივიდების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე მათი აღდგენის მიზნით
პოპულაცია	წარმოსახვითი საზღვრებით შემოსაზღვრული ერთი სახეობის ინდივიდების ჯგუფი
რეინტროდუქცია	ინდივიდების შეყვანა ბუნებაში ისეთ ტერიტორიაზე, სადაც მოცემული სახეობა უკვე გადაშენებულია
დისპერსია	ინდივიდების გადაადგილება, ან განაწილება კონკრეტულ ტერიტორიაზე
PHVA	აბრევიატურა აღნიშნავს პოპულაციისა და ჰაბიტატის სიცოცხლისუნარიანობის ანალიზს
რეპროდუქციული სისტემა	ორგანიზმის გამრავლების სისტემა
ფრაგმენტაცია	შესაფერისი ჰაბიტატის დანაწევრება
ჰაბიტატი	ადგილი, სადაც ბინადრობს სახეობა
შესაბამისი (შესაფერისი) ჰაბიტატი	სახეობის სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის შესანარჩუნებლად აუცილებელი პირობების მქონე ჰაბიტატი
In fence (ნახევრად თავისუფალი პოპულაცია)	ნახევრად ველურ მდგომარეობაში (დიდი ფართობის ვოლიერში) განთავსებული პოპულაცია
In situ კონსერვაცია	სახეობის შენარჩუნება მისი ბუნებრივი საცხოვრებლის ფარგლებში
Ex situ კონსერვაცია	სახეობის შენარჩუნება მისი ბუნებრივი საცხოვრებლის გარეთ (ტყვეობის პირობებში)

ჰენდლინგის ზონა	სამანიპულაციო ვოლიერი
ბომა	ცხოველის დასაფიქსირებელი განყოფილება ვოლიერში

**მიზანი:**

გადაშენებული, გადაშენების პირას მყოფი, ან სხვა არასახარბიელო სტატუსის მქონე სახეობების სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების აღდგენა საქართველოს ტერიტორიაზე ეკოსისტემების გაჯანსაღების ხელშეწყობისთვის, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

**შესავალი**

თანამედროვე სამყაროში ველური ბუნებისათვის არც თუ ისე დიდი ადგილი რჩება. განვითარების პროექტების განხორციელება უმეტეს შემთხვევაში უარყოფითად აისახება ბიომრავალფეროვნებაზე, ადამიანი მცირე სივრცეს უტოვებს ველურ სახეობებს. ინფრასტრუქტურული პროექტები ხშირად იწვევს ველური სახეობების პოპულაციების ფრაგმენტაციას ისე, რომ ზოგჯერ შეუძლებელია დერეფნების საშუალებით ამ ფრაგმენტების ერთმანეთთან დაკავშირება. შედეგად ვიღებთ თითოეულ ფრაგმენტში რიცხოვნობის კლებას, გენეტიკური მრავალფეროვნების დაქვეითებას, მცირდება საწინააღმდეგო სქესთან შეხვედრის ალბათობა. სიმჭიდროვის კლებას მოყვება თითოეული ინდივიდის შეგუებულობის დაქვეითება - მოვლენა, რომელიც ცნობილია, როგორც ელის ეფექტი.

შედეგად პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობა სწრაფად ეცემა. ბუნებრივი გზით ასეთი პოპულაციების რიცხოვნობის აღდგენას ან დიდი დრო სჭირდება, ან ხშირად, პოპულაცია ვერ ახერხებს რიცხოვნობის აღდგენას და განწირულია გადაშენებისთვის. ასეთ დროს მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ ხელოვნური ჩარევით ე.წ. **კონსერვაციული ტრანსლოკაციის (კტ)** საშუალებით.

რიცხოვნობის კლების გარდა, სახეობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის პოპულაციისათვის შესაფერისი ჰაბიტატის ხარისხის გაუარესება. პოპულაციის რიცხოვნობა მაღალიც რომ იყოს, იგი ვერ ახერხებს ზრდის ტემპის შენარჩუნებას, რადგან მცირდება სამალავეები, კვებისა და აღწარმოებისთვის ვარგისი ადგილები (ცხოველთათვის). ასეთ დროს, ერთადერთი გზა, სწორედ გამრავლებისათვის და პოპულაციის ცხოველმყოფელობისათვის შესაფერისი ადგილების ხელოვნურად შექმნაა - ე.წ. პოპულაციის ინტენსიური მენეჯმენტი (**პიმ**).



გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა გადარჩენის პრაქტიკულ ღონისძიებათა წესი ძირითადად მოიცავს, სახეობათა Ex situ კონსერვაციის მიზნებისთვის განსახორციელებელ ღონისძიებებს.

## 1 კონსერვაციული ტრანსლოკაციის განსაზღვრება და ტიპები

კონსერვაციული ტრანსლოკაცია - ადამიანის მიერ ამა თუ იმ სახეობის ინდივიდების წინასწარ განზრახული გადაყვანა/გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე, სახეობის არეალის ფარგლებში, მისი შენარჩუნების მიზნით.

კონსერვაციული ტრანსლოკაციის ტიპებს წარმოადგენს:

ა) **რეინფორსმენტი - გაძლიერება** - ინდივიდების დამატება საფრთხის წინაშე მყოფ პოპულაციაში მისი სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერების მიზნით. რიცხოვნობის ზრდასთან ერთად იზრდება პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნება, რაც ხელს უწყობს მის გადარჩენას გრძელვადიან პერსპექტივაში;

ბ) **რეინტროდუქცია** - კონკრეტული ტერიტორიის ან ქვეყნისათვის უკვე გადაშენებული სახეობის აღდგენა ინდივიდების შეყვანის/შეტანის გზით.

### 1.1 კონსერვაციული ტრანსლოკაციის დროს აუცილებელია შემდეგი ქმედებები:

1. სახეობის ან/და ეკოსისტემის შერჩევა;
2. ტრანსლოკაციისათვის რეციპიენტი ტერიტორიის შერჩევა;
3. დონორი (წყარო) პოპულაციის შერჩევა და შეფასება;
4. კონსერვაციული ტრანსლოკაციის მიმდებლობის შეფასება;
5. წარმატების მაქსიმალიზაცია პოპულაციის პარამეტრების ანალიზის და შეფასების საფუძველზე;
6. ბიომრავალფეროვნების სარგებლიანობის გაზრდა და ზიანის რისკის შეფასება;
7. გეგმის შემუშავება;
8. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა და მათი სარგებლის მიღების შესაძლებლობის გათვალისწინება;
9. გეგმის ლეგალიზაცია - შეთანხმება/დამტკიცება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან;
10. მონიტორინგი.

კონსერვაციული ტრანსლოკაციის მეთოდების შერჩევისათვის აუცილებელია გათვალისწინება საერთაშორისო გამოცდილების და თითოეული სახეობისთვის მისთვის შესაფერისი აღდგენის მეთოდის შერჩევა, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. წარუმატებელი ტრანსლოკაციის ძირითადი მიზეზი არასწორად შერჩეული მეთოდიკაა. კტ-ს წარუმატებლობის თავიდან ასაცილებლად შემუშავდა კრიტერიუმები, რომლის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს, რამდენად შესაძლებელია კონსერვაციული ტრანსლოკაცია, თუ მხოლოდ ex situ კონსერვაციაა ამ ეტაპზე მისაღები.

სახეობები ექვემდებარება კონსერვაციულ ტრანსლოკაციას (რეინტროდუქციას, რეინფორსმენტს) თუ:

1. სახეობა გადაშენებულია ბუნებაში;
2. სახეობის რაოდენობა არის მცირე ან შემცირებადი;
3. განხორციელებული ან დაგეგმილი მენეჯმენტი იყო არასაკმარისი ან არაადეკვატური ხანგრძლივი კონსერვაციისათვის;
4. საფრთხეები განსაზღვრულია;
5. ისეთი საფრთხეები, როგორცაა: ჰაბიტატის რღვევა, ინვაზიური სახეობები, ლანდშაფტის და კლიმატის ცვლილება და სხვა - გარდაუვალია, შეუქცევადი და/ან არაკონტროლირებადი. In situ კონსერვაციის მიუხედავად, სახეობა იმყოფება გადაშენების მაღალი რისკის ქვეშ;
6. თუ არსებობს სარწმუნო ისტორიული ინფორმაცია სახეობის გავრცელების შესახებ (იგულისხმება ეროვნულ ან ლოკალურ არეალში გავრცელება).

მიუხედავად აღდგენის საჭიროებისა, არსებობს ისეთი წინაპირობები, რომლის დროს სახეობების რეინტროდუქცია შეუძლებელია, თუმცა რეკომენდებულია მათი ex situ კონსერვაცია.

## 1.2 კონსერვაციული ტრანსლოკაციის ხელშემშლელი ფაქტორები

1. მაღალი ხარისხის, გენეტიკურად მრავალფეროვანი რესურსი ვერ იქნა მოძიებული და/ან არსებული პოპულაციიდან ინდივიდების ამოღებამ შეიძლება გამოიწვიოს ველური პოპულაციის ჰეტეროზიგოტურობის შემცირება;
2. საფრთხეების შერბილება და მართვა ამ ეტაპზე შეუძლებელია;
3. თუ რეინტროდუცირებული სახეობა წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს რეციპიენტ საიტზე მობინადრე სახეობებისათვის (შეჯვარება, კონკურენცია და სხვა), ან რეინტროდუცირებულმა სახეობამ შეიძლება დააზიანოს ინტენსიური მენეჯმენტის ქვეშ მყოფი სახეობა;
4. თუ რეინტროდუქციას არ აქვს პოლიტიკური ან სოციალური მხარდაჭერა;
5. თუ ჰაბიტატის ხარისხი დაბალია, ან მდგომარეობა შეუსწავლელია;
6. თუ არ არსებობს სანდო წყარო რეციპიენტ საიტზე სახეობის ისტორიული გავრცელების შესახებ.

თუ ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრა მოხერხდა, სახეობის რეინტროდუქციის საკითხი თავიდან შეიძლება იქნას განხილული.

### 1.3 საკონსერვაციო კატეგორიები

ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით, შეფასებული სახეობები, მათ შორის სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა ტიპის კონსერვაციულ მენეჯმენტს, შეიძლება დაჯგუფდეს რამდენიმე კატეგორიად:

**A - კატეგორია** - სახეობები, რომლებიც ექვემდებარებიან რეინტროდუქციას, არ ჩანს ამ პროცესის ხელშემშლელი ფაქტორები, ან ასეთი ფაქტორების ეფექტური მართვა შესაძლებელია (1-6 კრიტერიუმის შესაბამისად).

**B - კატეგორია** - სახეობები, რომლებიც ნაწილობრივ პასუხობენ 1-6 კრიტერიუმებს, თუმცა არსებობს გარკვეული შემზღუდავი ფაქტორები მათი კონსერვაციისთვის. ზოგიერთი პრობლემის გადაჭრა ამ ეტაპზე შეუძლებელია, მაგრამ სახეობის აღდგენა მომავალში განხორციელდება. ასეთი სახეობები ექვემდებარებიან ex situ კონსერვაციას.

**C - კატეგორია** - ეკონომიკური რეინტროდუქცია - სახეობები, რომელთა პოპულაციებს მოცემულ მომენტში არ სჭირდებათ რეინტროდუქცია, მაგრამ ძლიერი ანთროპოგენური წნეხის ქვეშ არიან (მაგალითად სანადირო სახეობები), შესაძლოა შეყვანილი იყვნენ გარკვეულ ტერიტორიებზე, მაგ. სამონადირეო მეურნეობებში სიმჭიდროვის გაზრდის მიზნით.

**D - კატეგორია** - სახეობები, რომელთაც არ ესაჭიროებათ რეინტროდუქცია, მაგრამ ეკოსისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით შესაძლებელია მათი რეინტროდუქცია ეროვნულ არეალში.

**E - კატეგორია** - სახეობები, რომელთა შენარჩუნება შესაძლებელია in situ ღონისძიებებით.

ჩამოთვლილი კრიტერიუმები და კატეგორიები ისეთი სახეობების შერჩევის შესაძლებლობას გვაძლევს, რომლებიც საჭიროებენ რეინტროდუქციას ან კონსერვაციული ტრანსლოკაციის სხვა ქმედებებს.

## 2 კონსერვაციული ტრანსლოკაციის (კტ) ეტაპები

### 2.1 პრეკონსერვაცია

პრეკონსერვაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი ეტაპებისაგან:

- სამიზნე სახეობის ისტორიული არეალის ანალიზი;
- გადაშენების ან რიცხოვნობის დაცემის მიზეზების შესწავლა;
- რეციპიენტი ჰაბიტატის შესაფერისობის შეფასება. ჰაბიტატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
  - ა) საკმარისი ტევადობა - ჰაბიტატი უნდა უზრუნველყოფდეს პოპულაციის აღდგენისათვის აუცილებელი მინიმალური რაოდენობის ინდივიდების შენარჩუნებას (მინიმალური გენეტიკური მდგრადობის მქონე პოპულაციის შენარჩუნებას);
  - ბ) შესაბამისი ფორმა - ინდივიდების გადაადგილება ნებისმიერი მიმართულებით არ უნდა იზღუდებოდეს;
  - გ) საკმარისი ფართობი - ფართობის შერჩევა დამოკიდებულია სახეობის საბინადრო ტერიტორიის ფართობზე (Home range);
- დონორი (წყარო) პოპულაციის კვლევა და შეფასება - წყარო-პოპულაცია უნდა იყოს სიცოცხლისუნარიანი, ინდივიდების ამოღებამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე;
- ტყვეობაში/მართვად გარემოში პოპულაციის შექმნა;
- ინდივიდების მომზადება რეინტროდუქციისთვის;
- რეინტროდუქციის/რეინფორსმენტის მეთოდის შერჩევა - სწრაფი გაშვება თუ თანდათანობითი გაშვება (ცხოველთათვის).

#### 2.1.1 თანდათანობითი გაშვება მისაღებია მაშინ, როდესაც:

1. დამფუძნებლების რაოდენობა მცირეა;
2. მოსალოდნელი არ არის მაღალი სიკვდილიანობა;
3. ინდივიდები საჭიროებენ ადაპტაციას გარემოსთან;
4. მიჩვეულია ადამიანებს, საჭიროა განრიდების გამომუშავება;
5. საჭიროებს გენეტიკურ და ვეტერინარულ/ფიტოსანიტარულ მენეჯმენტს

#### 2.1.2 სწრაფი გაშვება დასაშვებია:

1. დამფუძნებლების რაოდენობა დიდია;
2. შესაძლო სიკვდილიანობა მაღალია;
3. რელიეფი არ იძლევა სარეინტროდუქციო ვოლიერის აშენების საშუალებას;
4. ხდება პირდაპირი ტრანსლოკაცია წყარო პოპულაციიდან;
5. არ არის მიჩვეული ადამიანთან;
6. არ საჭიროებს განრიდების გამომუშავებას.

## 2.2 რეინტროდუქცია/რეინფორსმენტი


რეინტროდუქციის პროცესი უნდა შედგებოდეს შემდეგი ეტაპებისაგან:



1. ვოლიერის მშენებლობა თანდათანობითი გაშვების დროს;
2. სარეინტროდუქციო ვოლიერის აშენება მოიცავს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას (დაცვის, დაკვირვების ნაგებობებს, რომლებიც დაპროექტდება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით);
3. ცხოველების მომზადება (ვეტერინარული სკრინინგი, ქცევაზე დაკვირვება);
4. ინდივიდების შერჩევა;
5. ტრანსპორტირება;
6. გაშვების მეთოდის შერჩევა.
7. გაშვება.

თანდათანობითი გაშვების დროს მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სარეინტროდუქციო ვოლიერის მშენებლობა, რომლის პროექტი უნდა იყოს მორგებული სარეინტროდუქციო სახეობის მოთხოვნებზე. მენეჯმენტის გეგმის ფარგლებში უნდა განისაზღვროს სარეინტროდუქციო ვოლიერის მახასიათებლები. სარეინტროდუქციო ვოლიერი ჩვეულებრივ უნდა შედგებოდეს შემდეგი განყოფილებებისაგან (ნახ #1):

- საადაპტაციო ვოლიერი - ფართობი (სახეობის შესაბამისად) უნდა იყოს საკმარისი, ცხოველს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი ქცევების სრულფასოვნად გამოვლენის შესაძლებლობა;
- „ჰენდლინგის“ ვოლიერი - „კორალი“- 1000-2000 კვმ.
- საიზოლაციო ვოლიერი - შედარებით მცირე ზომის;
- ბომა - მანიპულაციებისათვის;
- ბარიერის ზომები და მასალა - ცხოველის სახეობის შესაბამისად (ბარიერებმა უნდა გაუძლოს როგორც შიდა, ისე გარე წნეხს).



### 2.3 მონიტორინგი

- მონიტორინგის მეთოდის შერჩევა;
- მონიტორინგისათვის საჭირო აღჭურვილობის შერჩევა (მაგალითად: ტრანსპონდერები, ნიშნები, საყელურები, ოპტიკური ხელსაწყოები, თერმული კამერები, დრონი და სხვა).

### 3 . კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმისთვის საჭირო საკითხები

სახეობის აღდგენის წარმატებული პროცესებისთვის საჭიროა კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება, რომელიც შემდეგ საკითხებს უნდა მოიცავდეს:

1. კონსერვაციული სტატუსი
  - 1.1. IUCN - ის მიხედვით;
  - 1.2. ბერნის კონვენციის მიხედვით;
  - 1.3. ბონის (CMS) კონვენციის მიხედვით;
  - 1.4. ეროვნული;

- 1.5. სხვა.
2. ბიოლოგიური მახასიათებლები
  - 2.1. რიცხოვნობა;
  - 2.2. შობადობა;
  - 2.3. სიკვდილიანობა;
  - 2.4. დინამიკა;
  - 2.5. დისპერსია;
  - 2.6. რეპროდუქციული სისტემა;
  - 2.7. სქესთა შეფარდება.
3. გავრცელება
  - 3.1. გავრცელება საქართველოში
    - 3.1.1. ლოკალური გავრცელება - საქართველოს კონკრეტული ადგილები
  - 3.2. მეზობელი პოპულაციების რიცხოვნობა და მანძილი მათთან
  - 3.3. დაცული ტერიტორიების არსებობა
4. ისტორიული გავრცელება
  - 4.1. ლიტერატურული მონაცემები
  - 4.2. სხვა წყარო (მითითება)
5. საფრთხეები
  - 5.1. უშუალოდ სახეობაზე მოქმედი საფრთხეები
    - 5.1.1. რიცხოვნობაზე მოქმედი საფრთხეები;
    - 5.1.2. დისპერსიაზე/მიგრაციაზე მოქმედი საფრთხე;
  - 5.2. ჰაბიტატზე მოქმედი საფრთხეები;
  - 5.3. ფრაგმენტაცია ;
  - 5.4. საფრთხეების ანალიზის ჩატარება და შედეგები.
6. აღდგენის პოტენციალი
  - 6.1. PHVA
    - 6.1.2 გენეტიკური პოტენციალი -რიცხოვნობა;
    - 6.1.3 ეკოლოგიური პოტენციალი (გავლენა სხვა სახეობებზე);
  - 6.2. საკვები ბაზა;
  - 6.3. მსხვერპლი/საკვები;
  - 6.4. მტაცებელი;
  - 6.5. კონკურენტები;
  - 6.6. დაავადებები;
  - 6.7. შესაფერისი ჰაბიტატის ანალიზი, შედეგები
    - 6.7.1 დეტალური (გის) ანალიზი (ჰაბიტატის შესაბამისობის ანალიზი);
    - 6.7.2 ზოგადი ექსპერტული შეფასება;
7. რეინტროდუქციის შესაძლებლობა

- 7.1. წყარო პოპულაცია ბუნებაში - ლოკალური (საქართველო, რეგიონი);
  - 7.2. წყარო პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობა;
  - 7.3. EX SITU პოპულაცია და მისი მისაწვდომობა (ტრანსპორტირების შესაძლებლობა);
  - 7.4. სარეინტროდუქციო ადგილი
    - 7.4.1. მდებარეობა;
    - 7.4.2. ფართობი;
    - 7.4.3. ფორმა;
    - 7.4.4. ტევადობა/საკვები ბაზა;
    - 7.4.5. ჰაბიტატის შესაფერისობა;
    - 7.4.6. შესაბამისი რელიეფი;
    - 7.4.7. დაცულობა.
  - 7.5. პოტენციური საფრთხეები;
  - 7.6. რეალისტურობა.
8. ალტერნატიული კონსერვაციული ქმედებები
    - 8.1. კორიდორები - განსახლების შესაძლებლობა;
    - 8.2. დაცული ტერიტორიის შექმნა;
    - 8.3. შემოღობილში (In fence) რეინტროდუქცია (ნახევრად თავისუფალი პოპულაციის შექმნა);
    - 8.4. ტყვეობაში გამრავლება (Captive breeding );
    - 8.5. სხვა.
  9. დაინტერესებული მხარეები
    - 9.1. რესურსის გამოყენების პოტენციალი -კომერციული/ მოტივაცია
      - 9.1.1. რესურსით სარგებლობა (მაგალითად ნადირობა, მცენარეთა კომერციული მიზნით სარგებლობა და სხვა);
      - 9.1.2. გარკვეულ შემთხვევაში რესურსით სარგებლობა შეზღუდულ პირობებში (მაგალითად სატროფეო ნადირობა);
      - 9.1.3. ტურიზმი;
      - 9.1.4. სხვა გამოყენება.
    - 9.2. ადგილობრივი მოსახლეობა და მისი შესაძლო დამოკიდებულება
      - 9.2.1. ძოვება;
      - 9.2.2. შესაძლო კონფლიქტის სახეები.
    - 9.3. შესაძლო პოზიტიური დამოკიდებულება;
    - 9.4. შესაძლო ნეგატიური დამოკიდებულება;
    - 9.5. სხვა დაინტერესებული მხარეები.
  10. პრობლემები - რაც ხელს შეუშლის რეინტროდუქციას
    - 10.1 ქცევითი პრობლემები

10.1.1 ჰაბიტუაცია ადამიანთან (მიჩვევა);

10.1.2 არაადეკვატური ქცევა - (მაგალითად, სტერეოტიპული ქცევა);

10.2. ეკოლოგიური პრობლემები;

10.3. გენეტიკური პრობლემები;

10.4. სოციო-ეკონომიკური და კულტურული პრობლემები.

## **უშუალოდ კონსერვაციული ტრანსლოკაცია და რეინტროდუქცია**

11. ქმედებები

11.1 in situ ქმედებები;

11.2 ex situ ქმედებები;

12. ქმედებების კავშირი საფრთხეებთან და პრობლემებთან;

13. რისკების ანალიზი.

ზემოთ აღნიშნული პრინციპებისა და კრიტერიუმების მიხედვით, შეფასდა საქართველოში გავრცელებული მცენარეების, თევზების, ამფიბიების, ქვეწარმავლების, ფრინველების და ძუძუმწოვრების სახეობები. კონსერვაციული ტრანსლოკაციისათვის შერჩეული სახეობების ნუსხა ასახულია დოკუმენტში. ანალიზის პროცესში გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები, რომლებიც საერთოა უმეტესი ტაქსონომიური ერთეულებისათვის.

### **3.1 საერთო ქმედებები სახეობების აღდგენისთვის**

1. დაცული ტერიტორიების დაგეგმარების დროს რეინტროდუქციის ან რეინფორსმენტის და სხვა კონსერვაციული ტრანსლოკაციის შესაძლებლობის გათვალისწინება;
2. რეინტროდუქციის ან რეინფორსმენტის და სხვა კონსერვაციული ტრანსლოკაციის განხორციელებისათვის დაცული ტერიტორიების გარეთ შესაბამისი დაცვით რეჟიმის შექმნა;
3. რეინტროდუქციის ან რეინფორსმენტის და სხვა კონსერვაციული ტრანსლოკაციის სახეობებისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება;
4. კონსერვაციული ტრანსლოკაციის განხორციელებისათვის აუცილებელი პროცედურების შესახებ სამართლებრივი დოკუმენტის შექმნა.

- 3.2** „საკონსერვაციო კრიტერიუმების შესაბამისად შეფასებული საქართველოში გავრცელებული სახეობების ჩამონათვალი“ განისაზღვრება ამ წესების დანართი №1-ით.
- 3.3** ამ წესების დანართი №1-ით განსაზღვრული საკონსერვაციო კრიტერიუმების შესაბამისად შეფასებული საქართველოში გავრცელებული თითოეული სახეობისთვის, მათი აღდგენის ღონისძიებების დაწყებამდე, უნდა შემუშავდეს დეტალური აღდგენის გეგმა, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

დანართი №1

საკონსერვაციო კრიტერიუმების შესაბამისად შეფასებული საქართველოში გავრცელებული სახეობების ჩამონათვალი:

2.4 მცენარეები			
სახეობა	ქართული სახელწოდება	კონსერვაციის კატეგორია	კონსერვაციის ტიპი
1. <i>Angelica adjarica</i>	აჭარული ანგელოზა	A	Ex situ; რეინფორსმენტი
2. <i>Aquilegia colchica</i>	კოლხური წყალიკრეფია	A	Ex situ; რეინფორსმენტი
3. <i>Astragalus aspindzikus</i>	ასპინძური გლერძი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
4. <i>Astragalus cyri</i>	გაფანტული გლერძი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
5. <i>Betula megrelica</i>	მეგრული არყი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
6. <i>Campanula kakhetica</i>	კახეთის მაჩიტა	A	Ex situ; რეინფორსმენტი
7. <i>Campanula kantschaveli</i>	ყანჩაველის მაჩიტა	A	Ex situ; რეინფორსმენტი
8. <i>Campanula lazica</i>	ლაზური მაჩიტა	A	Ex situ; რეინფორსმენტი
9. <i>Corylus colchica</i>	კოლხური თხილი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
10. <i>Cyclamen colchicum</i>	კოლხური ყოჩივარდა	A	Ex situ; რეინფორსმენტი
11. <i>Dianthus azkurensis</i>	აწყურული მიხაკი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
12. <i>Genista adjarica</i>	აჭარული კურდღლისცოცხა	A	Ex situ; რეინფორსმენტი
13. <i>Heracleum egrissicum</i>	ფრეინის დიყი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
14. <i>Iris winogradowii</i>	მინდვრის ყვითელი ზამბახი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
15. <i>Podospermum grigorashvili</i>	გრიგორაშვილის პოდოსპერმუმი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
16. <i>Sambucus tigranii</i>	ტიგრანის დიდგულა	A	Ex situ; რეინფორსმენტი
17. <i>Scorzonera kezkhoveli</i>	კეცხოველის ძირშავა	A	Ex situ; რეინფორსმენტი
18. <i>Thymus ladjanuricus</i>	ლაჯანურის ბეკონდარა	A	Ex situ; რეინფორსმენტი

19. <i>Tragopodon makaschwilii</i>	გლერძი (მაცაშვილის ფამფარა)	A	Ex situ; რეინფორსმენტი
20. <i>Tragopodon meskheticus</i>	მეხური ფამფარა	A	Ex situ; რეინფორსმენტი

2.5 თევზები			
სახეობა	ქართული სახელწოდება	კონსერვაციის კატეგორია	კონსერვაციის ტიპი
1. <i>Acipenser gueldenstaedtii</i>	რუსული ზუთხი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
2. <i>Acipenser nudiventris</i>	ჯარღალა	A	Ex situ; რეინფორსმენტი
3. <i>Acipenser persicus (colchicus)</i>	სპარსული ზუთხი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
4. <i>Acipenser stellatus</i>	ტარღანა	A	Ex situ; რეინფორსმენტი
5. <i>Acipenser sturio</i>	ატლანტური ზუთხი	A	Ex situ; რეინტროდუქცია
6. <i>Chontrostoma cyri</i>	ტობი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
7. <i>Huso huso</i>	სვია	A	Ex situ; რეინფორსმენტი
8. <i>Luciobarbus capito</i>	ჭანარი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
9. <i>Luciobarbus mursa</i>	მურწა	A	Ex situ; რეინფორსმენტი
10. <i>Rutilus frisii</i>	მორევის ნაფოტა -	A	Ex situ; რეინფორსმენტი
11. <i>Salmo caspius</i>	კასპიური კალმახი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
12. <i>Salmo ciscaucasicus</i>	თერგის კალმახი		Ex situ; რეინფორსმენტი
13. <i>Salmo labrax</i>	ორაგული		Ex situ; რეინფორსმენტი
14. <i>Salmo rizeensis</i>	რიზეს კალმახი		Ex situ; რეინფორსმენტი



2.6 ამფიბიები და ქვეწარმავლები			
სახეობა	ქართული სახელწოდება	კონსერვაციის კატეგორია	კონსერვაციის ტიპი
1. <i>Ablepharus pannonicus</i>	აზიური შიშველთავალა ხვლიკი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
2. <i>Vipera darevskii</i>	დარევსკის გველგესლა	B	Ex situ; რეინფორსმენტი
3. <i>Vipera renardi</i> ssp. <i>eriwanensis</i>	ველის გველგესლა	B	Ex situ; რეინფორსმენტი
4. <i>Vipera kaznakovi</i>	კავკასიური გველგესლა	B	Ex situ; რეინფორსმენტი
5. <i>Mertensiela caucasica</i>	კავკასიური სალამანდრა	A	Ex situ; რეინფორსმენტი
6. <i>Pelodites caucasicus</i>	კავკასიური ჯვარულა	A	Ex situ; რეინფორსმენტი
7. <i>Darevskia driada</i>	ჭარნალის ხვლიკი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
8. <i>Testudo graeca</i> ssp. <i>nikolski</i>	ხმელთაშუაზღვის ნიკოლსკის კუ	A	Ex situ; რეინფორსმენტი

2.7 ფრინველები			
სახეობა	ქართული სახელწოდება	კონსერვაციის კატეგორია	კონსერვაციის ტიპი
1. Phasianus colchicus	ხოხობი	C D	Ex situ; რეინფორსმენტი
2. Tetraogalus caspius	კასპიური შურთხი	C D	Ex situ; რეინფორსმენტი
3. Alectoris chukar	კაკაბი	C D	Ex situ; რეინფორსმენტი
4. Perdix perdix	გნოლი	C D	Ex situ; რეინფორსმენტი
5. Francolinus francolinus	დურაჯი	C D	Ex situ; რეინფორსმენტი
6. Falco cherrug	ბარი გავაზი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
7. Aquila heliaca	ბეკობის არივი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
8. Melanitta fusca	გარიელი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
9. Falco naumani	მცირე კირკიტა	A	Ex situ; რეინფორსმენტი
10. Grus grus	რუხი წერო	A	Ex situ; რეინფორსმენტი
11. Neophron percnopterus	ფასკუნჯი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
12. Streptopelia turtur	ჩვეულებრივი გვრიტი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
13. Aythya ferina	წითელთავა ყვინთია	A	Ex situ; რეინფორსმენტი

2.8 ძუძუმწოვრები			
სახეობა	ქართული სახელწოდება	კონსერვაციის კატეგორია	კონსერვაციის ტიპი
1. <i>Bison bonasus</i>	დომბა	A	Ex situ; რეინტროდუქცია
2. <i>Cervus elaphus</i>	კეთილშობილი ირემი	A	Ex situ; რეინტროდუქცია
3. <i>Capra caucasica</i>	დასავლეთკავკასური ჯიხვი	A	Ex situ; რეინფორსმენტი
4. <i>Capra aegagrus</i>	ნიამორი	A	Ex situ; რეინტროდუქცია
5. <i>Mustela lutreola</i>	წაულა	A	Ex situ; რეინტროდუქცია
6. <i>Castor fiber</i>	ევრაზიული თახვი	A	Ex situ; რეინტროდუქცია
7. <i>Panthera pardus</i>	ჯიქი	B	Ex situ; გამრავლება ხელოვნურ პირობებში (ზოოპარკებში)
8. <i>Hyaena hyaena</i>	ზოლებიანი აფთარი	B	Ex situ; გამრავლება ხელოვნურ პირობებში (ზოოპარკებში)
9. <i>Gazella subgutturosa</i>	ქურციკი	A	რეინტროდუქცია
10. <i>Ovis gmelini</i>	მუფლონი	B	Ex situ; რეინტროდუქცია
11. <i>Monachus monachus</i>	თეთრმუცელა სელაპი	გაურკვეველია, მოითხოვს დამატებით შესწავლას	

3 ინფორმაცია კონსერვაციას დაქვემდებარებული სახეობების შესახებ

მცენარეები

სახეობა	აჭარული ანგელოზა ( <i>Angelica adjarica</i> )
საერთაშორისო სტატუსი	EN
ეროვნული სტატუსი	EN - გადაშენების საფრთხეში მყოფი
ისტორიული ინფორმაცია	ვიწრო-ლოკალური ენდემი, გავრცელებულია აჭარის რეგიონში. იზრდება მდელოებზე, მთის ზედა სარტყელში, ბალახოვან ფერდობებზე, მაღალბალახეულობაში 900-1700 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აჭარა. ; ხევისდეღეს ხეობა 1,5 კმ მოშორებით ნაგვარისხევის შესართავიდან (დოლუხანოვი, კაზაროვა); არსიანის ქედისა და შავშეთის აღმ. ნაწილს შორის, მარიტის ხევის სათავე. აჭარისწყლის მარცხენა შესართავი (იგივენი); არსიანის ქედი დიდაჭარასა და დანისპარეულს შორის (გაგნიძე); შავშეთის ქედი სოფ. ტბეთის მიდამოები
თანამედროვე გავრცელება (აღწერა და რუკა)	საქართველოს მასშტაბით მიმდინარე პროექტში განხორციელებული რევიზიის მიხედვით, ტაქსონი შეფასებულია როგორც EN - გადაშენების საფრთხეში მყოფი. გავრცელებულია აჭარის რეგიონში. ბოლო შეფასებით, ხასიათდება გავრცელების ფრაგმენტირებული არეალით. ამჟამინდელი ლოკალიტეტი: სოფ. ტბეთის და დანიპარაულის მიდამოები
პოპულაციის რიცხოვნობა	უცნობია
ჰაბიტატის მდგომარეობა	ფრაგმენტირებული, დეგრადირებული
საფრთხეები	
სახეობაზე მოქმედი	აქტიურად გამოიყენება ტრადიციულ ხალხურ მედიცინაში. უცნობია ველურ ბუნებაში მოპოვებული ინდივიდების რაოდენობა. მცენარე იზრდება მთის ზედა სარტყელში, მდელოებზე, შესაბამისად, უპირველეს საფრთხეს მოვება და თიბვა წარმოადგენს
ჰაბიტატზე მოქმედი	B1ab(i,ii,iii,v) ჩამოთვლილია, როგორც კრიტიკულად საფრთხის ქვეშ მყოფი ტაქსონი, AOO-ს თვალსაზრისით, რომელიც შეფასებულია 10 km <sup>2</sup> ზე ნაკლები. ლოკაციაზე დაფიქსირდა მუდმივი კლება, გამოწვეული ანთროპოგენური წნეხით (ჰაბიტატის დაკარგვით/დეგრადაციით), რაც დაკავშირებულია პირუტყვის მოვებასთან და თივის დამზადებასთან.

	სახეობა არ არის დაცული, არც სახეობის და არც ჰაბიტატის დონეზე (მანველიძე და სხვ. 2009 წ.მემიაძე, 2003)
აღდგენის მიზეზი	<p>ვიწრო ლოკალური გავრცელებისა და ენდემურობის გათვალისწინებით, ბოლო შეფასებით, მცენარეს მიენიჭა EN - გადაშენების საფრთხეში მყოფის სტატუსი. მცენარე შესულია ადგილობრივი ფლორის 50 პრიორიტეტულ საკონსერვაციო სახეობათა სიაში.</p> <p>სტატუსი განსაზღვრულია IUCN გლობალური წითელი ნუსხის და "კავკასიის ენდემურ მცენარეთა წითელი ნუსხის" მიხედვით. მინიჭებული სტატუსი ჩაითვალა ვალიდურად საქართველოს მასშტაბით მიმდინარე პროექტში განხორციელებული რევიზიის საფუძველზე</p>
კონსერვაციული ქმედებები IN-SITU	<p>არსებული და პოტენციური საფრთხეების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მცენარის თესლის ბანკის შექმნა, რომელიც განთავსდება კავკასიის რეგიონულ თესლის ბანკში. ასევე, Ex situ კონსერვაციის ფარგლებში გამოყვანილი ნერგების გადატანა ბუნებრივ ჰაბიტატში, ფართობის მოთესვა და მკაცრი მონიტორინგი</p>

სახეობა	კოლხური წყალიკრეფია ( <i>Aquilegia colchica</i> )
საერთაშორისო სტატუსი	NE
ეროვნული სტატუსი	CR - გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფი
ისტორიული ინფორმაცია	მრავალწლოვანი, ყინვაგამძლე მცენარეა. <i>Aquilegia colchica</i> წარმოადგენს ვიწრო-ლოკალურ ენდემს. საქართველოს ფლორის მიხედვით, აღნიშნული მცენარე წარსულში უფრო ფართოდ იყო გავრცელებული (ძირითადად იმერეთის რეგიონში), ამჟამინდელი მონაცემებით შემორჩენილია მხოლოდ ჭიათურის მიდამოებში, მდინარე ჯრუჭის ხეობაში
თანამედროვე გავრცელება (აღწერა და რუკა)	შემორჩენილია მხოლოდ ერთი პოპულაცია ველურ ბუნებაში, მდინარე ჯრუჭის ხეობაში. მინიჭებული სტატუსი - CR (გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფი). სახეობას 2017-2019 წლებში ჩატარდა მონიტორინგი და დადგინდა მისი პოპულაციის ფართობი, რაც წარმოადგენს 0,272კმ <sup>2</sup> ს
პოპულაციის რიცხოვნობა	<100
ჰაბიტატის მდგომარეობა (ფრაგმენტირებულია, დეგრადირებულია, ტევადობა, რუკა)	ჰაბიტატი დეგრადირებული და ფრაგმენტირებულია. აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს აქტიური ტექნიკური სამუშაოები, (სამშენებლო მასალის-ხრემის მოპოვება) რომლებიც იწვევენ ამ სახეობის გავრცელების არეალის, დაკავებული ფართობის, ზრდასრული ინდივიდების რაოდენობის შემცირებას და სახეობის ჰაბიტატის დაზიანებას. ამჟამად, სახეობის მიერ დაკავებული ფართობი დაახლოებით 0,272კმ <sup>2</sup> ია
საფრთხეები	
სახეობაზე მოქმედი	ჰაბიტატზე მოქმედი ანთროპოგენური წნეხი (მოქმედი კარიერი, ინერტული მასალის მოპოვება) პირდაპირ აისახება მცენარის რიცხოვნობაზე. ბოლო 4-5 წლის მანძილზე, ინდივიდების საერთო რაოდენობა შემცირდა 33,5%-ით)
ჰაბიტატზე მოქმედი	ინერტული მასალის მოპოვება, ტერიტორიაზე არსებული მოქმედი კარიერი
აღდგენის მიზეზი	ბოლო შეფასებით, სახეობა გადაშენების კრიტიკული საფრთხის ქვეშაა, ველურ ბუნებაში არსებული ინდივიდების რაოდენობა კრიტიკულად კლებულობს B1ab(iii,v)+2ab(iii,v)
კონსერვაციული ქმედებები IN-SITU	სახეობის ბუნებრივი გავრცელების არეალის მკაცრი მონიტორინგი და ამავე ადგილებში შეგროვებული თესლით სამიზნე სახეობისთვის თესლის ბანკის შექმნა. შეგროვებული თესლიდან აღმოცენებული ex situ ინდივიდების (ქოთნებში, საკოლექციო ნაკვეთებში გამოყვანილი) გადარგვა ველურ ბუნებაში, შერჩეულ საკონსერვაციო ნაკვეთზე. ასევე, in situ კონსერვაციის ფარგლებში, შესაძლებელია ბუნებრივი ჰაბიტატის საზღვრებში ტერიტორიის მოთესვა

--	--

<b>სახეობა</b>	<b>Astragalus aspindzikus ასპინძური გლერძი</b>
საერთაშორისო სტატუსი	VU
ეროვნული სტატუსი	CR- გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფი
ისტორიული ინფორმაცია	მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, ვიწრო-ლოკალური ენდემი, გავრცელებულია ასპინძის რაიონში. ხასიათდება წერტილოვანი არეალით
თანამედროვე გავრცელება (აღწერა და რუკა)	მინიჭებული სტატუსი - CR შეფასება ორიგინალური წყაროს მიხ.: (კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფი).დაკვირვების საფუძველზე სახეობის პოტენციური გავრცელების ფართობი არ აღემატება 10 კვ.კმ-ს, დაკავებული ფართობი კი შეადგენს 4 კვ.კმ-ს. სახეობა გავრცელებულია მხოლოდ ერთ ადგილზე, რაც მიუთითებს ერთი ლოკალიტეტის არსებობაზე
პოპულაციის რიცხოვნობა	უცნობია
ჰაბიტატის მდგომარეობა (ფრაგმენტირებულია, დეგრადირებულია, ტევადობა, რუკა)	დეგრადირებული (უკონტროლო მოვება)
საფრთხეები	
სახეობაზე მოქმედი	მოვება და თიბვა
ჰაბიტატზე მოქმედი	პოპულაციის ჰაბიტატი მოქცეულია სამოვარში. საფრთხეს წარმოადგენს მოვება და თიბვა
აღდგენის მიზეზი	ლოკალური გავრცელებისა და ენდემურობის გათვალისწინებით, ბოლო შეფასებით, მცენარეს მიენიჭა CR - გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფის სტატუსი. მცენარე შესულია ადგილობრივი ფლორის 50 პრიორიტეტულ საკონსერვაციო სახეობათა სიაში B2ab(iii) AOO 4km2
კონსერვაციული ქმედებები IN-SITU	არსებული და პოტენციური საფრთხეების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მცენარის თესლის ბანკის შექმნა, ასევე ex situ კონსერვაციის ფარგლებში გამოყვანილი ინდივიდების შესაბამის ბუნებრივ ჰაბიტატში გადარგვა. არსებული ბუნებრივი ჰაბიტატის მოთესვა და მკაცრი მონიტორინგი



<b>სახეობა</b>	<b>გაფანტული გლერძი (<i>Astragalus cyri</i>)</b>
საერთაშორისო სტატუსი	NE
ეროვნული სტატუსი	EN- გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი
ისტორიული ინფორმაცია	მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, საქართველოს ენდემი, გავრცელებულია ქართლში, ჯავახეთსა და მესხეთში. იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე
თანამედროვე გავრცელება (აღწერა და რუკა)	მინიჭებული სტატუსი - EN (გადაშენების საფრთხეში მყოფი). ჩატარებული კვლევის საფუძველზე საქართველოში შემცირდა სახეობის გავრცელების ადგილები. მის მიერ დაკავებული ფართობი წარმოადგენს 12კმ <sup>2</sup> . ლოკალიტეტების რაოდენობა 3. დაკვირვების საფუძველზე მიმდინარეობს რიცხოვნობის შემცირება და ჰაბიტატის გაუარესება
პოპულაციის რიცხოვნობა	უცნობია
ტყვეობაში მყოფი ინდივიდები (მდებარეობა)	
ჰაბიტატის მდგომარეობა (ფრაგმენტირებულია, დეგრადირებულია, ტევადობა, რუკა)	დეგრადირებული
საფრთხეები	
სახეობაზე მოქმედი	ეროზიული პროცესები, ძოვება
ჰაბიტატზე მოქმედი	ეროზიული პროცესების გამო სუბსტრატის ჩამორეცხვა, ჰაბიტატის დაზიანება
აღდგენის მიზეზი	უაღრესად ლოკალური გავრცელებისა და ენდემურობის გათვალისწინებით, ბოლო შეფასებით, მცენარეს მიენიჭა CR - გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფის სტატუსი. მცენარე შესულია ადგილობრივი ფლორის 50 პრიორიტეტულ საკონსერვაციო სახეობათა სიაში B2ab(iii) AOO 12km <sup>2</sup>
კონსერვაციული ქმედებები IN-SITU	არსებული და პოტენციური საფრთხეების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მცენარის თესლის ბანკის შექმნა, ასევე ex situ კონსერვაციის ფარგლებში გამოყვანილი ინდივიდების შესაბამის ბუნებრივ ჰაბიტატში გადარგვა. არსებული ბუნებრივი ჰაბიტატის მოთესვა და მკაცრი მონიტორინგი

<b>სახეობა</b>	<b>მეგრული არყი (<i>Betula megrelica</i>)</b>
საერთაშორისო სტატუსი	EN
ეროვნული სტატუსი	EN - გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი
ისტორიული ინფორმაცია	ტანდაბალი, ნახევრად გართხმული ხე. გავრცელებული არის სამეგრელოში, ეგრისის კირქვიან მასივებზე (მიგარია, ასხი, მთა ჯვარი), სუბალპურ სარტყელში. ვიწრო-ლოკალური ენდემი
თანამედროვე გავრცელება (აღწერა და რუკა)	ამჟამინდელი გავრცელება მოიცავს სამეგრელოს კირქვიან მასივებს (მიგარია, ასხი და მთა ჯვარი). ხასიათდება ფრაგმენტირებული არეალით AOO: <50 km <sup>2</sup>
პოპულაციის რიცხოვნობა	უცნობია
ტყვეობაში მყოფი ინდივიდები (მდებარეობა)	
ჰაბიტატის მდგომარეობა (ფრაგმენტირებულია, დეგრადირებულია, ტევადობა, რუკა)	უმეტესად ფრაგმენტირებული და დეგრადირებულია
საფრთხეები	
სახეობაზე მოქმედი	ვინაიდან მცენარე ვრცელდება სუბალპურიდან ალპურ სარტყლამდე, ძირითად საფრთხეს ძოვება წარმოადგენს. პირუტყვის (ძროხა, თხა) მიერ მოზარდ აღმონაცენის განადგურება
ჰაბიტატზე მოქმედი	მცენარის ჰაბიტატის არეალში მრავლად არის მეჯოგეთა საზაფხულო სადგომები, სატყეო გზები და ბილიკები, შესაბამისად, ჰაბიტატზე მოქმედ ძირითად საფრთხედ შეიძლება ჩაითვალოს ხე-ტყის მოპოვების შედეგად მიყენებული ზიანი, უშუალოდ ხე-მცენარეზე არსებული წნეხი და საზაფხულო იალაღებზე არსებული პირუტყვი
აღდგენის მიზეზი	მცენარე გავრცელებულია მხოლოდ ეგრისის კირქვიან მასივებზე და წარმოადგენს ვიწრო ლოკალურ ენდემს. სახეობა შეტანილია წითელ ნუსხაში, მაგრამ არ არის დაცული ჰაბიტატის დონეზე
კონსერვაციული ქმედებები IN-SITU	მცენარის ეროვნული და საერთაშორისო კონსერვაციული სტატუსიდან (EN) გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ in situ კონსერვაციის ფარგლებში, კირქვიანი მასივის იმ ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია მაღალი ენდემიზმით და აღნიშნული სახეობის გავრცელებით, მიენიჭოს დაცული ტერიტორიის სტატუსი

სახეობა	კახეთის მაჩიტა ( <i>Campanula kakhetica</i> )
საერთაშორისო სტატუსი	EN
ეროვნული სტატუსი	CR- გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფი
ისტორიული ინფორმაცია	მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, ვიწრო ლოკალური ენდემი, აღწერილია ქიზიყიდან – შირაკი, თუქურმიშა (ხორნაბუჯის ციხე). ხასიათდება წერტილოვანი არეალით. იზრდება კლდეთა ნაპრალებში. Schiraki (Kachetia) Pag. Thukhurmisha.. 25 VIII 1928 (TBI)
თანამედროვე გავრცელება (აღწერა და რუკა)	მინიჭებული სტატუსი - CR (გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფი). შეფასება ორიგინალური წყაროს მიხ.: გლობალური წითელი ნუსხის (IUCN) მიერ ტაქსონისთვის მინიჭებული სტატუსი 2017 წლამდე იყო 'გადაშენების საფრთხეში მყოფი (EN)' სტატუსი შეიცვალა 'გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფად (CR)' 'კავკასიის ენდემური მცენარეების წითელი ნუსხის' საფუძველზე. წითელი ნუსხის მიხედვით ტაქსონს მინიჭებული აქვს გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფის (CR) სტატუსი. მისი AOO შეადგენს 10 კმ.2-ს, დაფიქსირებულია ერთ ადგილას ქიზიყში, აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ცნობილია, რომ სახეობის გავრცელება შემოიფარგლება კირქვის ქანებით
პოპულაციის რიცხოვნობა	უცნობია
ტყვეობაში მყოფი ინდივიდები (მდებარეობა)	
ჰაბიტატის მდგომარეობა (ფრაგმენტირებულია, დეგრადირებულია, ტევადობა, რუკა)	ფრაგმენტირებული
საფრთხეები	
სახეობაზე მოქმედი	ტერიტორია განიცდის ზეწოლას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, ასევე კირქვის მოპოვების გამო, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სახეობების გადაშენება ველურ ბუნებაში
ჰაბიტატზე მოქმედი	ჰაბიტატი განიცდის ზეწოლას (ინფრასტრუქტურული სამუშაოები: გზების გაყვანა, მშენებლობები, ინერტული მასალის მოპოვება)
აღდგენის მიზეზი	ვიწრო-ლოკალური გავრცელებისა და ენდემურობის გათვალისწინებით, ბოლო შეფასებით, მცენარეს მიენიჭა CR - გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფის სტატუსი მცენარე შესულია ადგილობრივი ფლორის

	<p>ორმოცდაათ პრიორიტეტულ საკონსერვაციო სახეობათა სიაში B2ab(ii,iii) AOO &lt;8 km<sup>2</sup></p>
კონსერვაციული ქმედებები IN-SITU	<p>არსებული და პოტენციური საფრთხეების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მცენარის თესლის ბანკის შექმნა, ასევე ex situ კონსერვაციის ფარგლებში გამოყვანილი ინდივიდების შესაბამის ბუნებრივ ჰაბიტატში გადარგვა. არსებული ბუნებრივი ჰაბიტატის მოთესვა და მკაცრი მონიტორინგი</p>

<b>სახეობა</b>	<b>ყანჩაველის მაჩიტა (<i>Campanula kanchaveli</i>)</b>
საერთაშორისო სტატუსი	CR
ეროვნული სტატუსი	EN- გადაშენების საფრთხეში მყოფი
ისტორიული ინფორმაცია	<p>მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, ვიწრო ლოკალური ენდემი, იზრდება ტყის სარტყელში დაჩრდილულ კლდეებზე, ღრმა ხეობებში. გვხვდება დაბა ყვარელში, მდინარე ალაზნის აუზში</p>
თანამედროვე გავრცელება (აღწერა და რუკა)	<p>მინიჭებული სტატუსი - EN (გადაშენების საფრთხეში მყოფი). შეფასება ორიგინალური წყაროს მიხ.: IUCN-ის წითელი ნუსხის მიხედვით ტაქსონს მინიჭებული აქვს გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფის (CR) სტატუსი. მისი AOO შეადგენს 10 კმ.2-ს, იგი ვრცელდება ორ ლოკაციაზე რომლიდანაც ერთი მოქცეულია არწივის ხეობაში, დედოფლისწყაროში, დაცული ტერიტორიის ფარგლებში. ხოლო მეორე - ყვარელში, კახეთის მუნიციპალიტეტში</p>
პოპულაციის რიცხოვნობა	უცნობია
ჰაბიტატის მდგომარეობა (ფრაგმენტირებულია, დეგრადირებულია, ტევადობა, რუკა)	ფრაგმენტირებული, დეგრადირებული
საფრთხეები	
სახეობაზე მოქმედი	<p>ტაქსონისთვის არსებული საფრთხეები: უკონტროლო მოვება, ტყის ჩეხვა და გზათმოწყობა. საფრთხეების ზემოქმედება არ არის დეტალურად გამოკვლეული, ამიტომ მიმდინარე სტატუსად ტაქსონისთვის შეფარდებულია EN (გადაშენების საფრთხეში მყოფი) B2ab(iii) კრიტერიუმით</p>
ჰაბიტატზე მოქმედი	<p>მცენარეს ემუქრება ტყის გაჩეხვით გამოწვეული ჰაბიტატის დეგრადაცია. სახეობა არ არის დაცული არც სახეობის და არც ჰაბიტატის დონეზე</p>

<p>აღდგენის მიზეზი</p>	<p>ვიწრო ლოკალური გავრცელებისა და ენდემურობის გათვალისწინებით, ბოლო შეფასებით, მცენარეს მიენიჭა EN - გადაშენების საფრთხეში მყოფის სტატუსი. მცენარე შესულია ადგილობრივი ფლორის ორმოცდაათ პრიორიტეტულ საკონსერვაციო სახეობათა სიაში B2ab(iii) AOO &lt;10km<sup>2</sup></p>
<p>კონსერვაციული ქმედებები IN-SITU</p>	<p>არსებული და პოტენციური საფრთხეების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მცენარის თესლის ბანკის შექმნა, ასევე ex situ კონსერვაციის ფარგლებში გამოყვანილი ინდივიდების შესაბამის ბუნებრივ ჰაბიტატში გადარგვა. არსებული ბუნებრივი ჰაბიტატის მოთესვა და მკაცრი მონიტორინგი</p>

<b>სახეობა</b>	<b>ლაზური მაჩიტა (<i>Campanula lazica</i>)</b>
საერთაშორისო სტატუსი	CR
ეროვნული სტატუსი	CR- გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფი
ისტორიული ინფორმაცია	მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, ვიწრო ლოკალური ენდემი, გავრცელებულია აჭარის რეგიონში. ხასიათდება უაღრესად წერტილოვანი არეალით (ციხისძირის მიდამოები)
თანამედროვე გავრცელება (აღწერა და რუკა)	მინიჭებული სტატუსი - CR (გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფი). შეფასება ორიგინალური წყაროს მიხ.: ტაქსონი ცნობილია მხოლოდ ერთი ლოკაციიდან (აჭარა, ციხისძირი). მიუხედავად იმისა, რომ პოპულაციის დეტალური შეფასება არ მომხდარა, რეკრეაცია და განაშენიანება (ციხისძირი მშენებლობის ცხელი წერტილია) შეიძლება ჩაითვალოს ტაქსონის გაქრობის რეალურ საფრთხედ
პოპულაციის რიცხოვნობა	უცნობია
ჰაბიტატის მდგომარეობა (ფრაგმენტირებულია, დეგრადირებულია, ტევადობა, რუკა)	დეგრადირებული
საფრთხეები	
სახეობაზე მოქმედი	ტაქსონისთვის არსებულ საფრთხედ შესაძლოა ჩაითვალოს მისი ადგილსამყოფლის (ციხისძირი) განაშენიანება და მოვება. საფრთხეების ზემოქმედება არ არის დეტალურად შესწავლილი
ჰაბიტატზე მოქმედი	ტერიტორიის განაშენიანება და ინფრასტრუქტურის განვითარება. ძირითადი საფრთხეა ჰაბიტატის დაკარგვა და დეგრადაცია, რომელიც გამოწვეულია ჭარბი მოვებით და ტურიზმის შედეგად გამოწვეული შეწუხებით
აღდგენის მიზეზი	უაღრესად ლოკალური გავრცელებისა და ენდემურობის გათვალისწინებით, ბოლო შეფასებით, მცენარეს მიენიჭა CR - გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფის სტატუსი. მცენარე შესულია ადგილობრივი ფლორის ორმოცდაათ პრიორიტეტულ საკონსერვაციო სახეობათა სიაში B2ab(ii) AOO 10 კმ.2-ზე ნაკლებია
კონსერვაციული ქმედებები IN-SITU	არსებული და პოტენციური საფრთხეების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მცენარის თესლის

	ბანკის შექმნა, ასევე ex situ კონსერვაციის ფარგლებში გამოყვანილი ინდივიდების შესაბამის ბუნებრივ ჰაბიტატში გადარგვა. არსებული ბუნებრივი ჰაბიტატის მოთესვა და მკაცრი მონიტორინგი
--	---

<b>სახეობა</b>	<b>კოლხური თხილი (<i>Corylus colchica</i>)</b>
საერთაშორისო სტატუსი	VU
ეროვნული სტატუსი	VU - მოწყვლადი
ისტორიული ინფორმაცია	დაბალი ბუჩქი. ნაყოფისგან დამზადებული რძე გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, პარფიუმერიაში, საკონდიტრო წარმოებაში. გავრცელებულია აფხაზეთსა და სამეგრელოში, კირქვიან მასივებზე, იზრდება ტყის პირებზე ალპურ სარტყლამდე. წარმოადგენს ვიწრო ლოკალურ ენდემს
თანამედროვე გავრცელება (აღწერა და რუკა)	ამჟამინდელი გავრცელება მოიცავს სამეგრელოს კირქვიან მასივებს (მიგარია, ასხი და მთა ჯვარი). სახეობა შეფასებულია Solomon & al., 2014 მიხედვით
პოპულაციის რიცხოვნობა	
ჰაბიტატის მდგომარეობა (ფრაგმენტირებულია, დეგრადირებულია, ტევადობა, რუკა)	უმეტესად ფრაგმენტირებული და დეგრადირებულია
საფრთხეები	
სახეობაზე მოქმედი	ვინაიდან მცენარე ვრცელდება ალპურ სარტყლამდე, მოვება ძირითადი საფრთხეს წარმოადგენს. პირუტყვის (ძროხა, თხა) მიერ მოზარდ აღმონაცენის განადგურება
ჰაბიტატზე მოქმედი	მცენარის ჰაბიტატის არეალში მრავლად არის მეჯოგეთა საზაფხულო სადგომები, სატყეო გზები და ბილიკები, შესაბამისად, ჰაბიტატზე მოქმედ ძირითად საფრთხედ შეიძლება ჩაითვალოს ხე-ტყის მოპოვების შედეგად მიყენებული ზიანი, უშუალოდ ქვეტყეზე არსებული წნეხი
აღდგენის მიზეზი	აფხაზეთში არსებული პოპულაციის მდგომარეობაზე ობიექტური ინფორმაცია არ არსებობს. სამეგრელოში, მცენარე გავრცელებულია მხოლოდ კირქვიან მასივებზე და წარმოადგენს ვიწრო ლოკალურ ენდემს B2ab (iii) AOO <2000
კონსერვაციული ქმედებები IN-SITU	მცენარის ეროვნული და საერთაშორისო კონსერვაციული სტატუსიდან (VU) გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ in situ კონსერვაციის ფარგლებში, კირქვიანი მასივის იმ ნაწილს, რომელიც



	წარმოდგენილია მაღალი ენდემიზმით და აღნიშნული სახეობის გავრცელებით, მიენიჭოს დაცული ტერიტორიის (ბუნების ძეგლი, აღკვეთილი) სტატუსი
--	--

სახეობა	კოლხური ყოჩივარდა ( <i>Cyklamen colchicum</i> )
საერთაშორისო სტატუსი	NE
ეროვნული სტატუსი	VU - მოწყვლადი
ისტორიული ინფორმაცია	მრავალწლოვანი დეკორატიული და სამკურნალო მცენარე, ტუბერიანი, საქართველოს ენდემი. იზრდება ალპურ სარტყლამდე. გავრცელებულია სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში
თანამედროვე გავრცელება (აღწერა და რუკა)	მინიჭებული სტატუსი - VU (გადაშენების საფრთხის მიმართ მოწყვლადი). სტატუსი განსაზღვრულია "კავკასიის ენდემურ მცენარეთა წითელი ნუსხის" მიხედვით კავკასიის რეგიონის მასშტაბით. მინიჭებული სტატუსი ჩაითვალია ვალიდურად საქართველოს მასშტაბითაც მიმდინარე პროექტში განხორციელებული რევიზიის საფუძველზე. გავრცელებულია სამეგრელოს კირქვიანებზე, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში
პოპულაციის რიცხოვნობა	უცნობია
ჰაბიტატის მდგომარეობა (ფრაგმენტირებულია, დეგრადირებულია, ტევადობა, რუკა)	უმეტესად დეგრადირებული
საფრთხეები	
სახეობაზე მოქმედი	ჭარბი მოპოვება. ტუბერის განადგურება (ძირითადად ტუბერიანად ხდება ამოღება).
ჰაბიტატზე მოქმედი	ჰაბიტატი იმყოფება ძლიერი ანთროპოგენური სტრესის ქვეშ. გროვდება როგორც დეკორატიული და სამკურნალო მცენარე.
აღდგენის მიზეზი	არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ტაქსონის საარსებო გარემოს აბიოტური და ბიოტური ფაქტორები უარესდება, ხდება უკონტროლო, ჭარბი მოპოვება და ექსპლუატაცია.
კონსერვაციული ქმედებები IN-SITU	არსებული და პოტენციური საფრთხეების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მცენარის თესლის ბანკის შექმნა, რომელიც განთავსდება კავკასიის რეგიონული თესლის ბანკში. ასევე, Ex situ კონსერვაციის ფარგლებში გამოყვანილი ნერგების გადატანა ბუნებრივ ჰაბიტატში, ფართობის მოთესვა და მკაცრი მონიტორინგი.

სახეობა	აწყურული მიხაკი ( <i>Dianthus azkurensis</i> )
საერთაშორისო სტატუსი	NE
ეროვნული სტატუსი	EN - გადაშენების საფრთხეში მყოფი
ისტორიული ინფორმაცია	საქართველოს ენდემი, იზრდება ღორღიან ფერდობებზე მთის-შუა ტყის სარტყელში. მესხ. აწყურის მიდამოები. (ხარაძის მიხედვით), „საქართველოს ფლორა“, ტ IV.
თანამედროვე გავრცელება (აღწერა და რუკა)	მესხეთი, აწყურის მიდამოების კლდიანი ფერდობები.
პოპულაციის რიცხოვნობა	უცნობია
ჰაბიტატის მდგომარეობა (ფრაგმენტირებულია, დეგრადირებულია, ტევადობა, რუკა)	ფრაგმენტირებული, კლდის ჩამოშლის შედეგად უაღრესად დავიწროებული ჰაბიტატი.
საფრთხეები	
სახეობაზე მოქმედი	პოპულაცია ფრაგმენტირებულია 2 ლოკალიტეტად. მცენარე იზრდება გზის პირას არსებულ კლდეებზე, რომლებიც დრო და დრო იშლება, რაც იწვევს ზრდასრული ინდივიდების რაოდენობის შემცირებას.
ჰაბიტატზე მოქმედი	ბუნებრივი ეროზიული პროცესები (კლდის ჩამოშლა), ჰაბიტატის შევიწროვება. სახეობა არ არის დაცული არც სახეობის და არც ჰაბიტატის დონეზე.
აღდგენის მიზეზი	მინიჭებული სტატუსი - EN (გადაშენების საფრთხეში მყოფი). შეფასება ორიგინალური წყაროს მიხ.: მონიტორინგი ჩატარდა 2017-2019 წლებში. დადგინდა, რომ შემცირდა სახეობის დაკავებული ფართობი (12 კმ.2). პოპულაცია ფრაგმენტირებულია 2 ლოკალიტეტად, მცენარე იზრდება გზის პირას არსებულ კლდეებზე, რომლებიც დრო და დრო იშლება, რაც იწვევს ზრდასრული ინდივიდების რაოდენობის შემცირებას.

კონსერვაციული ქმედებები IN-SITU	არსებული და პოტენციური საფრთხეების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მცენარის თესლის ბანკის შექმნა, რომელიც განთავსდება კავკასიის რეგიონული თესლის ბანკში. ასევე, Ex situ კონსერვაციის ფარგლებში გამოყვანილი ნერგების გადატანა ბუნებრივ ჰაბიტატში, ფართობის მოთესვა და მკაცრი მონიტორინგი.
---------------------------------	--

სახეობა	აჭარული კურდღლისცოცხა ( <i>Genista adjarica</i> )
საერთაშორისო სტატუსი	NE
ეროვნული სტატუსი	CR- გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფი
ისტორიული ინფორმაცია	მრავალწლოვანი მცენარე, ვიწრო ლოკალური ენდემი, გავრცელებულია აჭარის რეგიონში. ხასიათდება გავრცელების ვიწრო არეალით.
თანამედროვე გავრცელება (აღწერა და რუკა)	მინიჭებული სტატუსი - CR შეფასება ორიგინალური წყაროს მიხ.: (გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფი). დაკვირვების საფუძველზე სახეობის პოტენციური გავრცელების ფართობი არ აღემატება 10 კმ.2-ს. სახეობა შეფასებულია Solomon & al., 2018 მიხედვით.
პოპულაციის რიცხოვნობა	უცნობია
ტყვეობაში მყოფი ინდივიდები (მდებარეობა)	
ჰაბიტატის მდგომარეობა (ფრაგმენტირებულია, დეგრადირებულია, ტევადობა, რუკა)	უმეტესად დეგრადირებული.
საფრთხეები	
სახეობაზე მოქმედი	ძოვება
ჰაბიტატზე მოქმედი	ჰაბიტატის ხარისხის მუდმივი დაქვეითება, რომელიც გამოწვეულია ჰაბიტატის დაკარგვით/დეგრადაციით. განაშენიანება, გზის მშენებლობა/გაყვანა.
აღდგენის მიზეზი	ლოკალური გავრცელებისა და ენდემურობის გათვალისწინებით, ბოლო შეფასებით, მცენარეს მიენიჭა CR - გადაშენების კრიტიკულ საფრთხეში მყოფის სტატუსი. B1ab(iii)+2ab(iii) კრიტიკულად საფრთხის ქვეშ მყოფი EOO-ს თვალსაზრისით, რომელიც შეფასებულია 100 კმ.2-ზე ნაკლები; AOO შეფასებულია 10 კმ.2-ზე ნაკლები; ერთ ლოკაციაზე არსებობა და ჰაბიტატის ხარისხის მუდმივი დაქვეითება, რომელიც გამოწვეულია ჰაბიტატის დაკარგვით/დეგრადაციით.  მცენარე შესულია ადგილობრივი ფლორის ორმოცდაათ პრიორიტეტულ საკონსერვაციო სახეობათა სიაში.
